საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-788

2025 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის №2-82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის №2-82 ბრძანებაში (ვებგვერდი, 20/02/2018, სარეგისტრაციო კოდი 340050000.22.023.016476) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის“:

1. **მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სერტიფიცირების მომენტისთვის ღვინის კომპანიაში არსებული პროდუქციის ნაშთების არსებობის დადასტურება;“.

2. **მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) სააგენტოს მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად – ინფორმაცია ღვინის კომპანიაში არსებული ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტის, ყურძნის წვენის ან/და ყურძნის ტკბილის რაოდენობის (განაცხადში მითითებული რაოდენობის გამოკლების გათვალისწინებით) და წარმოშობის შესახებ (დანართი №3);“.

3. **მე-11 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„14. სერტიფიკატის მოქმედების ვადა შეადგენს 18 თვეს მისი გაცემის დღიდან და გულისხმობს პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებისათვის გათვალისწინებულ პერიოდს. აღნიშნულ პერიოდში სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული, სერტიფიცირებული პროდუქცია არ საჭიროებს განმეორებით სერტიფიცირებას.“.

4. დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით სონღულაშვილი**